



საქმე №18/53-13

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

8 აპრილი, 2013 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
მოსამართლე: გერონტი კახეთელიძემ

ლიკა ჭილაძის მდივნობით,

სახელმწიფო ბრალმძებლები: ლ.ლ.-ს და ზ.ც.-ს
მსჯავრდებულის: ნ.ჯ.-ს
ადვოკატები: ო.ს.-ს და ო.მ.-ს
თარჯიმნები: რ.მ.-ს და ა.ს.-ს

მონაწილეობით,

ღია სასამართლო სხდომაზე, მსჯავრდებულ ნ.ჯ.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამომძიების №XXXXXXXXXXXXX): ნ.ი.-ს-მე ჯ.-ს, საქართველოს მოქალაქის (პირადი №XXXXXXXXXXXXX), დაბადებულის 1992 წლის 19 დეკემბერს, სტუდენტის, ნასამართლობის არმქონის, დასაოჯახებელის, რეგისტრირებულის და ფაქტობრივად მცხოვრების: მ.-ს რაიონის სოფელ ს.-ში, ამჟამად პატიმრის მიმართ, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მესამე და მეშვიდე ნაწილებით;

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ.ჯ.-მ ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2012 წლის 14 ივნისს, ღამის საათებში, მ.-ს რაიონის სოფელ ს.-ში ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, ავტომობილ „ვაზ 2106“ სახ. ნომრით – XXX-XXX, მოძრაობის დროს ნ.ჯ.-მ დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები, ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა და შეეჯახა ქვეითად მოსიარულე შვიდ ადამიანს, რის

შედეგადაც მ.ბ.-მ, კ.მ.-მ და მ.ა.-მ მიიღეს ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანებები, ხოლო ბ.ა. და გ.ა. გარდაიცვალნენ.

აღნიშნული ქმედებით ნ.ჯ.-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მესამე და მეშვიდე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული;

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის განაჩენით:

ნ.ჯ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით;

ნ.ჯ.-ს 3 (სამი) წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

ნ.ჯ.-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა;

ნ.ჯ.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2012 წლის 14 ივნისიდან;

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ნ.ჯ.-მ და ბრალმდებელმა ლ.ლ.-მ.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით მსჯავრდებული ითხოვს მის მიმართ გამოტანილი ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით. კერძოდ, დანიშნული სასჯელიდან 4 წლის ჩათვლას პირობით, ხოლო 2 წლის მოხდას სასჯელადსრულების დაწესებულებაში. სააპელაციო საჩივრის მიხედვით, მსჯავრდებული თავს მთლიანად ცნობს დამნაშავედ, თუმცა იმავდროულად მიაჩნია, რომ ავტოავარია არ მომხდარა მხოლოდ მისი ბრალით, არამედ, შესაძლოა, აგრეთვე დამნაშავენი იყვნენ ფეხით მოსიარულენი და მიკროავტობუსი, რომელიც უხერხულად იყო გაჩერებული გზაზე. ამ კუთხით გამოძიება ჩატარებულია ცალმხრივად. აპელანტი აგრეთვე, აღნიშნავს, რომ პოლიციამ დაზარალებულები მის მიმართ უარყოფითად განაწყო, მან შემთხვევის ადგილი დატოვა თანასოფლელთა თხოვნით, ხასიათდება დადებითად და დაზარალებულებს ნაწილობრივ აუნაზღაურა მკურნალობის ხარჯები. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ნ.ჯ.-ს მიაჩნია, რომ სასამართლოს რეალურად შეეძლო სასჯელის დანიშვნისას სასჯელის ნაწილი ჩაეთვალა პირობით.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ბრალმდებელი ითხოვს ნ.ჯ.-ს მიმართ გამოტანილი ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას სასჯელის ნაწილში. კერძოდ, უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას შემდეგი მოტივებით: მსჯავრდებულს არ გაუღია დაზარალებულთა მკურნალობის ხარჯები, მსჯავრდებული ცდილობდა მოგონილი ვერსიებით პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას და სხვისთვის გადაბრალებას, ნ.ჯ. საერთოდ მოერიდა შემთხვევის ადგილს და სახლში წავიდა. ამასთან, ამნისტიის კანონით მსჯავრდებულს ისედაც უმსუბუქდება სასჯელი. აღნიშნული გარემოებების მიხედვით, ბრალმდებელს მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების

განხორციელების სახე, მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი და ყველა შემთხვევაში უნდა დაენიშნა უფრო მკაცრი და სამართლიანი სასჯელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრების მოთხოვნებს, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა რა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ნ.ჯ.-ს სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბრალმდებელ ლ.ლ.-ს სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და განაჩენში ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.“ ამავე კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, „მხარეს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულება“. აგრეთვე, ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა“.

სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას მისთვის დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლის თაობაზე, ვინაიდან, მოცემული დანაშაულის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ნ.ჯ.-ს გაუფრთხილებელი, დანაშაულებრივი ქმედება უშუალოდ დაზარალებულთა და მოწმეთა თვალწინ, მათი უშუალო შესწრებით მოხდა. მართალია, ნ.ჯ.-მ დანაშაულის ჩადენა აღიარა, მაგრამ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშნვისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან...“. მხოლოდ მითითებული პირობების ერთად არსებობის შემთხვევაშია სასამართლო უფლებამოსილი, რომ მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილი. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება არ იძლევა აღნიშნული მუხლის გამოყენების სამართლებრივ საფუძველს.

რაც შეეხება ქვეითად მოსიარულე დაზარალებულთა და მიკროავტობუსის მძღოლის შესაძლო ბრალეულობას დანაშაულის ჩადენაში, რაზეც აპელირებს მსჯავრდებული სააპელაციო საჩივარში, მათი ბრალეულობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება

საქმეში არ არსებობს. ამდენად, სასამართლო მოკლებულია კანონიერ საფუძველს მოცემულ საქმეზე, გარდა ნ.ჯ.-ს ბრალეულობისა, იმსჯელოს სხვა რომელიმე პირის მიერ დანაშაულის ან სხვა გადაცდომის შესაძლო ჩადენაზე. ამასთან დაკავშირებით პალატა აგრეთვე მიუთითებს, რომ სასამართლო ასევე მოკლებულია კანონიერ საფუძველს გამოიტანოს კერძო განჩინება, როგორც ეს მოითხოვა დაცვის მხარემ სააპელაციო პალატის სხდომაზე დასკვნით სიტყვაში. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიტანოს კერძო განჩინება ამა თუ იმ სამართალდარღვევაზე.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ეთანხმება პროკურორის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ ნ.ჯ.-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნის თაობაზე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: ნ.ჯ., რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს, ყველა შემთხვევაში ვალდებული იყო უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა. მის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას შედეგად მოჰყვა არა მარტო ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, არამედ სამი ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაც, კერძოდ, მ.ბ.-მ, კ.მ.-მ და მ.ა.-მ მიიღეს სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანებები, რის გამოც დასჭირდათ მკურნალობა ხანგრძლივი ვადით. მსჯავრდებულის დანაშაულებრივი ქმედება კვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, თუმცა მას სასჯელი ენიშნება მე-7 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. სწორედ დამდგარი მძიმე შედეგიდან გამომდინარე პალატას მიზანშეუწონლად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულს მიესაჯოს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმი. ამრიგად, პალატა თვლის, რომ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, სამართლიანი იქნება მსჯავრდებულს დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში უფრო მკაცრი სასჯელი, რაც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. პალატა ვერ დაეთანხმება ბრალმდებლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის გამკაცრების თაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ ამნისტიის კანონით მსჯავრდებულს ისედაც უმსუბუქდება სასჯელი. პალატა განმარტავს, რომ ამნისტია არის ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე სამართლებრივი აქტი და არ შეიძლება ამა თუ იმ პირს იმ მოტივით დაუმძიმდეს დანიშნული სასჯელი, რომ ამნისტიის კანონი ისედაც ამსუბუქებს სასჯელს. საქმის მასალებიდან გამომდინარე, პალატა ასევე ვერ დაეთანხმება პროკურორს, რომელიც სააპელაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ნ.ჯ.-მ მიატოვა შემთხვევის ადგილი, დაზარალებულებს არ აუნაზღაურა ზიანი და ა.შ. რის გამოც, ბრალმდებლის მოსაზრებით, მსჯავრდებულს უნდა დაუმძიმდეს სასჯელი.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა რა გასაჩივრებული განაჩენი, თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა ბრალდების მხარის მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულების, დაზარალებულების უფლებამონაცვლეების და მოწმეების: მ.ბ.-ს, კ.მ.-ს, მ.ა.-ს, შ.ა.-ს, შ.ა.-ს, ნ.ა.-ს, მ.ლ.-ს, რ.გ.-ს, ლ.ჭ.-ს, დ.გ.-ს ჩვენებებით, ბრალდებულ ნ.ჯ.-ს ჩვენებით, სატრანსპორტო, ტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზის №XXX/ა, XXX/სტ დასკვნით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №XXXX/XX/X-X, XXXX/XX/X-X, XXXX/XX/X-X, XXX/XX/X-X, XXX/XX/X-X დასკვნებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით დანართი სქემით და ფოტო-ტაბულით და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით პალატას დადგენილად მიაჩნია განაჩენში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

ამდენად, სასამართლომ ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის, ასევე ნ.ჯ.-ს დამნაშავედ ცნობისთვის საკმარისობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ ნ.ჯ.-მ ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-5 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, თუ ყველა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ამ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

სააპელაციო პალატის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა მოცემულ საქმეზე დაზარალებულთა უფლებამონაცვლეების შ.ა.-ს და შ.ა.-ს ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები, რომელთა მიხედვითაც შ.ა. და შ.ა. უარს აცხადებენ, რომ მსჯავრდებულ ნ.ჯ.-ზე გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, „ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-15 მუხლების მოქმედება“.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, ამ კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება ან/და სასჯელის შემცირება ერთნაირად და პროპორციულად ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა.

ამასთანავე, პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ან/და მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიძლება შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბრალმდებლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის განაჩენში მსჯავრდებულ ნ.ჯ.-ს მიმართ ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი, ნ.ჯ.-ს უნდა დაენიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი და დანიშნული სასჯელები ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 298-ე მუხლის მე-4 ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-5, მე-16, მე-18 მუხლებით და 23-ე მუხლის II ნაწილით,-

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ.ჯ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

ბრალმდებელ ლ.ლ.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის განაჩენში მსჯავრდებულ ნ.ჯ.-ს მიმართ ცვლილება იქნეს შეტანილი;

ნ.ჯ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლის ვადით, რაც შეუმცირდეს ერთი მეოთხედით, ანუ 1 (ერთი) წლის და 9 (ცხრა) თვის ვადით და საბოლოოდ ნ.ჯ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის და 3 (სამი) თვის ვადით;

ნ.ჯ.-ს 3 (სამი) წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, რაც შეუმცირდეს ერთი მეოთხედით, ანუ 9 (ცხრა) თვის ვადით და საბოლოოდ ნ.ჯ.-ს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამოერთვას 2 (ორი) წლის და 3 (სამი) თვის ვადით, რომლის მოქმედების ვადის ათვლა დაეწყოს მსჯავრდებულის სასჯელადსრულების დაწყებულებიდან გათავისუფლების მომენტიდან;

ნ.ჯ.-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან - 2012 წლის 14 ივნისიდან;

ცნობად იქნას მიღებული, რომ ნ.ჯ.-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა, გაუქმებულია;

ნივთმტკიცება – ასფალტიდან ამოღებული შუშის ნამსხვრევები, სისხლის მაგვარი ლაქები, ავტომობილიდან ამოღებული სისხლის მაგვარი ლაქა, მიწიდან ამოღებული სისხლის მაგვარი ლაქები, შეჯახების ადგილზე ჩამოყრილი ფხვიერი მიწა, ავტომანქანა „ვაზ-21-06“-ის დამსხვრეული წინა საქარე მინა, ავტომობილის წინა სავარძლებიდან ამოღებული მიკრონაწილაკები, პირიდან ამოსული ფეკალური მასა, რომლებიც ინახება შს მარნეულის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს, ავადმყოფობის ისტორიების დედნები, ვერცხლისფერი პოლიეთილენის ე.წ. „კალპაკი“, შავი ფერის პოლიეთილენის ავტომობილის გვერდითი სარკის ხუფი, ფეხსაცმელი, ჩუსტები, მძღოლის სავარძლის ბალიში დაუბრუნდეთ კანონიერ მფლობელებს, ხოლო მსჯავრდებულ ნ.ჯ.-ს მართვის მოწმობა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გადაიგზავნოს შსს მომსახურების სააგენტოში;

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და სასჯელის ნაწილში ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ.№32ა) მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე:

/გ. კახეთელიძე/